პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	დაფინანსება ათ. ლარში
	02 07		1 861,5
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მიზანი - სოფლებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.		
მოსალოდნელი შედეგი	სოფლებში მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	02 08		4 320,5
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთა განხორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები. მიზანი - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში და წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	02 09		407,6
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების		

მიზანი	განხორციელება. მიზანი - სტიქიით მიყენებული ზიანის ლიკვიდაცია.
მოსალოდნელი შედეგი	ლიკვიდირებულია სტიქიით მიყენებული ზიანი.

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წელი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	5,250.0
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	5,250.0
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	1,326.6
03 02 01	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	1,326.6
სულ დასუფთავება და გარემოს დაცვა		6,576.6

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 01		5 250,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებით სამუშაოებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას.</p> <p>მიზანი - მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 01 01		5 250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო ახორციელებს ქალაქში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავებით სამუშაოებს, ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას. ქალაქის გარდა, სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ 78 სოფელში. ქალაქში განთავსებულია 586 სანაგვე ურნა, რომლის დაცლა ხდება ყოველდღიურად, ხოლო დაახლოებით 350 სანაგვე ურნა იცლება დღეში 2-ჯერ. მუნიციპალიტეტის სოფლებში განთავსებულია 1634 სანაგვე ურნა, რომლებიც იცლება დადგენილი გრაფიკის მიხედვით. შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქის (კვერნაკის) ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ხდება სპეციალიზირებული მანქანების სველი წესით დამუშავება. ზამთრის სეზონზე დგება მორიგეობის გრაფიკი, საჭიროების შემთხვევაში ქალაქის ქუჩებში ვახდენთ მარილის მოზნევას.</p> <p>მიზანი - დასუფთავებული და მოვლილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალური ნარჩენების მართვა და საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა-დასუფთავება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 02		1 326,6
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სკვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვლა, ბუჩქების დეკორატიული კრეჭვა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მოწყვვა, ბალახის გათიბვა, მოწამვლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა).</p>		

	<p>სკვერებსა და გაზონებში ხდება ერთწლიანი ყვავილნარის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის) ნერგების დარგვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადაბეღვა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა. ხდება გათიბულის, გასხლულის და მოჭრილი მორების გატანა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში აგრეთვე ხორციელდება სანერგე მეურნეობის მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება ერთწლიანი ყვავილის ჩითილების გამოყვანა, მრავალწლიანი ნარგავების დათესვა, დაკალმება. ასევე ხორციელდება დასვენების პარკი „ახალბაღის“ მოვლა-პატრონობა.</p> <p>მიზანი - გამწვანებული გაზონები და დასვენებისათვის შექმნილი მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების, გაზონების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათ. ლარში
	03 02 01		1 326,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა. კერძოდ: სკვერებისა და გაზონების დასუფთავება, ტარდება მრავალწლიანი ნარგავების და ბუჩქების მოვლა-პატრონობა (მრავალწლიანი ნარგავების გასხვა, ბუჩქების დეკორატიული კრეკვა, ნიადაგის მომზადება, გაფხვიერება, მორწყვა, ბალახის გათიბვა, მოწამვლა, მინერალური სასუქების შეტანა და სხვა). სკვერებსა და გაზონებში ხდება ერთლიანი ყვავილნარის მოწყობა და მრავალწლიანი (სხვადასხვა ჯიშის)ნერგების დარგვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება მრავალწლიანი ნარგავების გადაბეღვა და ამორტიზირებული ხეების მოჭრა ხდება გათიბულის, გასხლულის და მოჭრილი მორების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სანერგე მეურნეობის მოვლა-პატრონობა. კერძოდ: ხდება მრავალწლიანი ნარგავების დათესვა-დაკალმება.</p> <p>მიზანი - გამწვანებული გაზონები და დასვენებისათვის შექმნილი მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და გამწვანებულია პარკები, სკვერები და გაზონები და დასვენებისათვის შექმნილია მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე.		

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წელი
04 01	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	22,246.5
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	3,446.5
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	18,800.0
04 02	განათლების ხელშეწყობა	4,300.1
04 02 01	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა დათანადაფინანსება	165.0
04 02 02	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	4,135.1
სულ განათლება		26,546.6

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01		22 246,5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს: მოსახლეობისათვის საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებას, ასევე ინკლუზიურ განათლებას. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას.</p> <p>მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების		

	ხელმისაწვდომობა და და შექმნილია ბავშვთა განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტების სააღმზრდელო გარემო, გადამზადებულია აღმზრდელი-პედაგოგები.
--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01 01		3 446,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების აღჭურვა. მიზანი - საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული, სტანდარტების შესაბამისი პირობების მქონე სკოლამდელი დაწესებულებები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 01 02		18 800,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სკოლამდელი განათლება ბავშვთა აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა გორის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტის განვითარებასთან ერთად დღითიდღე იზრდება მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის არულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მოსახლეობისათვის. პროგრამა ითვალისწინებს: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განათლების ხარისხის ამაღლებას, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადებას, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებას, კვების ორგანიზებასა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით განსაზღვრულ სტანდარტებთან, მეთოდური მიმართულების გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისათვის სხვადასხვა საბავშვო ლიტერატურისა და სათამაშოების შესყიდვას, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-განახლების მიზნით ავეჯის, საოჯახო ტექნიკის, სამზარეულოს ჭურჭლის, სხვადასხვა ქსოვილის ნივთებისა და სხვა საჭირო ინვენტარის შესყიდვას, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის მიზნით საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევებს.</p> <p>მიზანი - სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვთა განვითარებაზე ორიენტირებული მაღალი სტანდარტების სააღმზრდელო გარემო.		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	04 02		4 300,1
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს: გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. შედეგად გაიზრდება ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების მუნიციპალურ პროგრამაში.</p> <p>პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები:</p> <p>ა) არაფორმალური განათლება;</p> <p>ბ) საბუნებისმეტყველო მიმართულება;</p> <p>გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა.შ.)</p> <p>• პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100%-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას:</p> <p>ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს;</p> <p>ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.</p> <p>• პროგრამის ფარგლებში აგრეთვე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/სტიპენდიები), აგრეთვე საზეიმო ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>• პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „საზაფხულო ბანაკის“ მოწყობა გორის მუნიციპალიტეტის 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის. საზაფხულო ბანაკი მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმართველობის პროცესებში.</p> <p>მიზანი - პროგრამის მიზნობრივი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და კლასგარეშე აქტივობების/ პროექტების განხორციელება; ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების მუნიციპალურ პროგრამაში; ახალგაზრდების წახალისება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია სკოლისგარეშე განათლება და უზრუნველყოფილია წარმატებული აბიტურიენტების მხარდაჭერა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	04 02 01		165,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევას, მათ დაგეგმვა-პრეზენტაციას, ახალგაზრდების ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლებას, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობასა და კოორდინაციას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. შედეგად გაიზრდება ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართულობა მუნიციპალურ პროგრამებში და ქვეპროგრამებში.</p> <p>პრიორიტეტული მიმართულებები:</p> <p>ა) არაფორმალური განათლება;</p>		

	<p>ბ) საბუნებისმეტყველო მიმართულება;</p> <p>გ) საგანმანათლებლო-კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები (მაგ. მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; საქალაქო ოლიმპიადები, ინტელექტ-ჩემპიონატი - „ეტალონი“, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები და ა.შ.)</p> <p>• ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლის კურსდამთავრებულების ფინანსური წახალისება ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100 %-ანი საგრანტო ქულის) მიხედვით, რომლის საფუძველზეც მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;</p> <p>აღნიშნული ინიციატივა ეხება კურსდამთავრებულების 2 კატეგორიას:</p> <p>ა) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულებს;</p> <p>ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ (ბოლო 2 წელი) კურსდამთავრებულებს, რომლებსაც მოუწიათ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში აგრეთვე მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში (საერთაშორისო კონკურსები, კონფერენციები, ოლიმპიადები) გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვება (ფასიანი საჩუქრები/ სტიპენდიები), აგრეთვე საზეიმო ღონისძიებების ორგანიზება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „საზაფხულო ბანაკის“ მოწყობა გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდებისთვის. მიზანი: ბანაკი მიზნად ისახავს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმართველობის პროცესებში. საზაფხულო ბანაკის მონაწილეები, ბანაკში - არაფორმალურ გარემოში გაივლიან სატრენინგო კურსს შემდეგ თემატიკაზე: 1. ემოციების მართვა და ეფექტური კომუნიკაცია; 2. პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა; 3. ადგილობრივი თვითმართველობა, სამოქალაქო აქტივიზმი, ადვოკატირება; 4. პროექტების წერა; 5. ემოციური კაპიტალი; 6. მედიაწიგნიერება; 7. საბაზო სამეწარმეო უნარები; 8. ციფრული უსაფრთხოება. პროექტის დასრულების შემდგომ, ახალგაზრდებს ექნებათ შესაბამისი უნარები მოიძიონ ინფორმაცია და მოახდინონ პრობლემების იდენტიფიცირება საკუთარ თემში ან თავად გაუწიონ ადვოკატირება მათთვის საჭირო და მნიშვნელოვან საკითხებს, ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაცია ადგილობრივ თვითმართველობასთან და ერთობლივი ძალისმეხვეთ გადაჭრან მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები. ამოცანა: კონკურსით გამოვლენილი ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და მათი კომპეტენციების განვითარება. პროექტი დაგეგმილი საქმიანობები: ა) მონაწილეთა შერჩევა და დაკომლექტება ნაკადებად, ბ) ტრენინგ-ციკლის ორგანიზება, გ) არაფორმალური ნაწილი : შემეცნებითი-კულტურული-სპორტული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება თავისუფალ დროს (ვიქტორინა, სამაგიდო თამაშები, მხიარული სტარტები, კულტურული სადამოებო). მიზნობრივი ჯგუფი: გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდები. შერჩევის კრიტერიუმები: ა) ელექტრონული აპლიკაცია; ბ) გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 16-დან 20 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდები; ბ) სამოტივაციო წერილი. შერჩევის წესი: I ეტაპი - სააპლიკაციო ფორმების გადარჩევა კრიტერიუმების შესაბამისად, რომელსაც უზუნველყოფს მერის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, II ეტაპი - გასაუბრება, რომელსაც უზუნველყოფს მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. პროექტის მოსალოდნელი შედეგი: გადამზადებული ახალგაზრდები, ბანაკის შემდეგ ახალგაზრდული ქსელის შექმნა, ბანაკის მონაწილეების მიერ თანატოლ განმანათლებლებთან ერთად ადგილობრივ თემში სხვადასხვა აქტივობების განხორციელება, ახალგაზრდებისა და ადგილობრივი თვითმართველობის კომუნიკაციის გაუმჯობესება და თანამშრომლობა. შეფასების კრიტერიუმები: 1) პროექტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა, 2) ფოტო/ვიდეო მასალა, 3) პროექტის შეფასების ფორმა. დამატებითი ინფორმაცია: ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის მერია შეისყიდის საჭირო მომსახურებას „საზაფხულო ბანაკის“ განსახორციელებლად.</p> <p>მიზანი - პროგრამის მიზნობრივი მიმართულებებია: მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და კლასგარეშე აქტივობების/ პროექტების განხორციელება; ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა განათლების მუნიციპალურ პროგრამაში; ახალგაზრდების წახალისება.</p>
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებულია პროექტები და გაზრდილია პროექტებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტით	დაფინანსება ათ. ლარში
-------------------------	------	--	-----------------------

	04 02 02	უზრუნველყოფა	4 135,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და ინვენტარით აღჭურვა.</p> <p>მიზანი - საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის კომფორტული სასკოლო პირობების შექმნა და სასწავლო პროცესზე დროული დასწრება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლების ხელშეწყობა.		

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წელი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	7,634.1
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1,784.1
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	2,050.0
05 01 02 01	ფეხბურთის კლუბის განვითარების ხელშეწყობა	1,802.3
05 01 02 02	ქალთა სპორტის განვითარება	115.2
05 01 02 03	ამპუტატთა ფეხბურთის განვითარება	132.5
05 01 03	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	3,800.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4,886.3
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	512.2
05 02 02	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	124.0
05 02 03	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	2,078.0
05 02 05	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	1,112.0
05 02 06	მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ხელშეწყობა	710.0
05 02 07	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	100.1
05 02 09	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა	250.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200.0
05 03 01	რელიგიური ორგანიზაციების ელექტრონული ხარჯის დაფინანსება	130.0
05 03 02	საკულტო ნაგებობის რეაბილიტაციის თანადაფინანსება	70.0
სულ		12,870.4
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი		

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01		7 634,1
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი; ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სპორტული განვითარების ხელმისაწვდომობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 01		1 784,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის განვითარებას		

და მიზანი	და ხელშეწყობას, რაგბში და კალათბურთში ჩართული გუნდების მხარდაჭერას, მასობრივი სპორტის პოპულარიზაციას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, პერსპექტიული სპორტსმენების მხარდაჭერას, შშმ პირების მონაწილეობას სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში, ასევე სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ორგანიზებას და სკოლის მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ეგიდით გათვალისწინებულ ღონისძიებებში. სპორტის განყოფილება უწყევს კოორდინაციას და ორგანიზებას სპორტული ღონისძიებების ჩატარებასა და მონიტორინგს. მიზანი - გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის განვითარება და ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	ჩატარებულია პროგრამით დაგეგმილი ყველა ღონისძიება. დაჯილდოებულია წარმატებული მწვრთნელები და სპორტსმენები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02		2 050,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისაგან შემდგარი 35 ასაკობრივი ჯგუფის მომზადებას, რომელიც დაკომპლექტებულია 900-მდე მოზარდით (მათ შორის რაიონებში). ასევე უზრუნველყოფს ქალთა და ამპუტანტთა გუნდების მომზადებას წლის განმავლობაში სხვა და სხვა ასპარეზობებში მონაწილეობის მისაღებად. საფეხბურთო ვარჯიშები და წვრთნები მიმდინარეობს სპორტულ სტადიონებზე, რომელთა მოვლა-პატრონობას ახორციელებს საფეხბურთო კლუბი. ფუტსალის გუნდი წლის განმავლობაში გადის მომზადებას და წარმატებით მონაწილეობს ფუტსალის ლიგა 2-ის ჩემპიონატში, რითაც პოპულარიზაციას უწყევს სპორტის ამ სახეობას. მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ქალთა და ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა. გუნდების ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატებში.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრებთათვის გაზრდილია ფეხბურთის ხელმისაწვდომობა და დაკავებული საპრიზო ადგილები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ფეხბურთის კლუბის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02 01		1 802,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო სკოლის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს და სტადიონის ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას. მიზანი - საფეხბურთო სკოლისა და გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში. ფეხბურთის განვითარება და ცხოვრების წესის დამკვიდრება მოზარდებში.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონის შეუფერხებელი ფუნქციონირება წლის განმავლობაში გამართული ყველა სპორტული ღონისძიების მასპინძლობისთვის. ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების მიერ საპრიზო ადგილების დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა ფეხბურთის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02 02		115,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალთა საფეხბურთო გუნდის „გორი იუნაიტედის“ დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასს. მიზანი - ქალთა საფეხბურთო გუნდის ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზოზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში გუნდის მიერ საპრიზო ადგილების დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ამპუტანტთა ფეხბურთის განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 02 03		132,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს. მიზანი - ამპუტანტთა საფეხბურთო გუნდის წარმატებული ასპარეზობა ეროვნულ ჩემპიონატში და შემდგომ საერთაშორისო ასპარეზზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ეროვნულ ჩემპიონატში საპრიზო ადგილების დაკავება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 01 03		3 800,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: 1. ბავშვთა და მოზარდთა სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ასაკობრივი ჯგუფების განვითარების ხელშეწყობა - ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ბავშვთა და მოზარდთათვის ხელმისაწვდომობის გაზრდას სპორტის ისეთ სახეობებში როგორცაა: კალათბურთი, ხელბურთი, ჭადრაკი, კრივი, ექსტრემალური სპორტი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ტანვარჯიში, კიკბოქსინგი, მკლავჭიდი, ფრენბურთი, ჩოგბურთი..., სპორტის სააგენტო სულ აერთიანებს 21 სპორტულ მიმართულებას. სპორტულ სექციებში ვარჯიშობს 3205 სპორტსმენი, საიდანაც 533 გოგონაა. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სპორტსმენების სტატისტიკა შემდეგია: 1. მოსამზადებელი (6-8წ.) 332 სპორტსმენი, 2. საწვრთნელი (9-12წ.) 869 სპორტსმენი, 3. უმცროსი საშეჯიბრო (13-17წ.) 1494 სპორტსმენი, 4. საშეჯიბრო (18-22წ.) 400 სპორტსმენი, 5. 23 წლიდან ზემოთ - 110 სპორტსმენი. დაგეგმილია როგორც ადგილობრივი ტურნირების ორგანიზება, ასევე გასვლით სპორტულ ღონისძიებებსა და ტურნირებზე მონაწილეობა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების მოწყობა. 2. ძიუდოს კლუბი „გოლდენ გორი“-ში გაწვევრიანებული სპორტსმენების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად კლუბში გაერთიანებულია 7 სპორტსმენი. სპორტსმენებისათვის დაგეგმილია შრომის ანაზღაურება, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტულ ტურნირებში მონაწილეობის მიღება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. 3. თ.ს.ტ. კლუბ „სხირელში“ გაწვევრიანებული სპორტსმენების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად. კლუბში გაერთიანებულია 18 სპორტსმენი. სპორტსმენებისათვის დაგეგმილია შრომის ანაზღაურება, სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფა, სპორტულ ტურნირებში მონაწილეობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. მიზანი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასაკობრივი ჯგუფების, ძიუდოს და თ.ს.ტ. მოჭიდავეთა კლუბების განვითარების ხელშეწყობა მაღალი შედეგის მისაღწევად.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის ხელმისაწვდომია სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობა და ხელშეწყობილია ასაკობრივი ჯგუფებისა და სპორტული კლუბის „გოლდენ გორის“ და ჭიდაობის კლუბი სხირელის განვითარება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02		4 886,3
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია; გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული პროექტების განხორციელება, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესება. წარმატებული ხელოვანების, საპატიო გორელების დაჯილდოვება და მათი წახალისება. ასევე სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში გამარჯვებული ხელოვანების		

	<p>დაჯილდოვება. მუნიციპალური გაზეთის „გორის მაცნეს“ მეშვეობით საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირება; კულტურის განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა კულტურის ცენტრების და ანსამბლების, სახელოვნებო განათლების, მუზეუმების, ზიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ფუნქციონირების ხელშეწყობით. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში ხელშეწყობილია კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა და თანადაფინანსება	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 01		512,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გორის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურის სფეროში თავისი მიღწევებით. აქ აღიზარდა მრავალი ნიჭიერი თაობა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას, თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს ყველა ორგანიზაციას, რომლებიც მოღვაწეობენ ხელოვნების სფეროში და კულტურული პროექტების განხორციელებით, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით უზრუნველყოფენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას. გორის მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას, ასევე მოხდება შემოქმედი, წარმატებული ხელოვანების, საპატიო გორელების, სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებში გამარჯვებული ხელოვანების დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.</p> <p>მიზანი - კულტურის სფეროს გაუმჯობესება, სხვადასხვა სახის კულტურული პროექტების ხელშეწყობა და თანადაფინანსება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	განხორციელებული კულტურული პროექტები და საპატიო გორელების და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული წარმატებული ხელოვანების წახალისება, დაჯილდოვება ფასიანი საჩუქრით ან ფულადი ჯილდოთი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 02		124,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გაზეთი „გორის მაცნეს“ საქმიანობა - საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე მკითხველისათვის ინფორმაციის მიწოდება, მთავრობის გადაწყვეტილებებისა და მოქმედ პროგრამებზე ცნობადობის ამაღლება, ადგილობრივი თვითმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების და მოქმედი პროგრამების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების იდენტიფიცირება, კომპეტენტური პირებისგან შესაბამისი პასუხების მოძიება, ასევე აუდიტორიის კიდევ უფრო მეტად გაზრდის და საზოგადოების უფრო დიდი ნაწილისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით ვებ გვერდზე გაზეთის ელექტრონული ვერსიის წარმოება.</p> <p>მიზანი - მოსახლეობისათვის ქვეყანაში და რეგიონში არსებული მიმდინარე მოვლენების გაშუქება და საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობა ინფორმირებულია მნიშვნელოვანი ინფორმაციით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრებისა და ანსამბლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 03		2 078,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო		

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, შესაბამისი ცენტრების, სკოლების, კლუბების, სექციების მეშვეობით მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის კულტურული, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება; კულტურის განყოფილებაში შედის 9 რაიონის - ხიდისთავის, ახალხიზის, ქიწნისის, მეჯვრისხევის, ტყვიავის, ზერტის, ძევერის, ნიქოზის ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრები და ქ. გორის, სუხიშვილის №20-ში განთავსებული ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრი. ქალაქში არსებული წრეები: ვოკალის, ქართული ენის, საესტრადო ენის, ქორეოგრაფიული ცეკვის, რუსული ენის, ინგლისური ენის, თექის, ხალხური საკრავების (დოლები და საგალობელი), თეატრალური; რაიონებში არსებული წრეები: შინდისი - გიტარის, ვარიანი - ხალხური საკრავების, ძევერა - ხატვის, ხალხური სიმღერების; ზედდუღეთი - ჭადრაკის, კარალეთი - ჭრა-კერვის, ქსოვის, ხატვის; ფლავისმანი - ხელგარჯილობის, ხიდისთავი - ქსოვის, ხატვის, დოლების; ქვახვრელი - ჭადრაკის, ატენი - სიმღერის, შავშევი - სიმღერის, მათემატიკის; მეჯვრისხევი - ცეკვის. კულტურული, ახალგაზრდული პროექტებისა და მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მხარდაჭერის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქართული ეროვნული და მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის საფუძვლების გაცნობა, მათი სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრების ხელშეწყობა, ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე ზრუნვა. მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მისაცემად შესაბამისი კლასების, შემოქმედებითი კლუბების, სექციების, წრეების, ჯგუფების ისეთი შემეცნებით-სახელოვნებო მიმართულებებით ჩამოყალიბება როგორცაა: ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ვოკალურ-ინსტრუმენტალური, ჟურნალისტიკური, თეატრალური, ხალხური რეჟისის და სხვა. ასევე საგანმანათლებლო საგნობრივი მიმართულებით კულტურულ-შემოქმედებით და საგანმანათლებლო პროგრამებში იძულებით გადაადგილებულ, სოციალურად დაუცველ და საქართველოს ერთიანობისთვის დადუპულ მებრძოლთა ოჯახების შვილების (მოსწავლეების) ჩართვა. აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებთან ურთიერთობა წარმოადგენს პრიორიტეტს. ასევე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების (მოსწავლეების) კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებში ჩართვა, მათთვის შესაბამისი ადაპტირებული გარემო-პირობების შექმნა და ინკლუზიური განათლების სპეციფიკის ხელშეწყობა. აგრეთვე, განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლე-ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>მიზანი - მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა</p>	<p>დაფინანსება ათ. ლარში</p>
	<p>05 02 05</p>		<p>1 112,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ქვედა საფეხურის სამუსიკო განათლების 5 სკოლა: სკრის, ატენის, ტირძნისის, ტყვიავის, ხელთუზნის. საბაზო-საორიენტაციო - ქ. გორში, ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა. სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, კლასიკური გიტარის და სხვა მიმართულებები. სამუსიკო და ხელოვნების სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1020 ბავშვი (მათ შორის: გოგო - 740, ბიჭი - 280) სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, ვიტრაჟს და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 258 ბავშვი (მათ შორის: გოგო - 203, ბიჭი - 55).</p> <p>მიზანი - მოზარდებში მუსიკალური და მხატვრული განათლების მიცემა, განსაკუთრებული მუსიკალური და მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა.</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოზარდებში მიღებულია დაწყებითი და სახელოვნებო განათლება.</p>		

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მწერალთა სახლის ხელშეწყობა</p>	<p>დაფინანსება ათ. ლარში</p>
	<p>05 02 06</p>		<p>710,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო</p>		

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შემდეგი ობიექტები: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და საბრძოლო დიდების მუზეუმები; ნიკო ლომოურის და ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმები; ე.წ „ერეკლეს აბანო“; 3 ბიბლიოთეკა - ცენტრალური, მოზრდილთა და საბავშვო, მწერალთა სახლი.</p> <p>მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 114 126 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 3 215-ს. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში იგეგმება ევროკავშირის მიერ აშენებული ქართული ტრადიციული სახელოსნოების გახსნა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაცია დასრულდება და უკვე ახალ რეაბილიტირებულ მუზეუმში იგეგმება ნუმისმატიკის დარბაზის გახსნა უახლესი ტექნიკის აღჭურვილობით. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ეწევა სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის მუშაობის პრინციპია „გავფრთხილდეთ წარსულს უკეთესი მომავლისათვის“.</p> <p>ბიბლიოთეკა არის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულება, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 112 148 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაახლოებით 383 000 მოსახლე. აგრეთვე შექმნილია ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურება. ღონიძიებები იგეგმება წლის განმავლობაში აქტუალური თემატიკის მიხედვით და ასევე მკითხველთა მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <p>ადგილობრივი მწერლების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება, ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა შემოქმედთა კონსულტირება, ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების მომზადება, მთარგმნელობითი საქმიანობის განხორციელება, თანამედროვე სალიტერატურო ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობა, შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონიძიებების ორგანიზება, ლიტერატურული კონკურსების ჩატარება, გამოფენების მოწყობა.</p> <p>მიზანი - ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის და ახალგაზრდობის დაინტერესების და ჩართულობის გაზრდა. ძველი თაობის და ახალგაზრდა მწერლების პოპულარიზაცია.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია მუზეუმების და ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, გაზრდილია ბეჭდვითი ელექტრონული პუბლიკაციების და ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონიძიებების რაოდენობა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 07		100,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გორის ციხის ტერიტორიაზე განთავსებული დეკორატიული განათების სისტემის დაცვა. მიზანი - განათების სისტემის დაცვის უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	დაცული განათების სისტემა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონიძიებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 02 09		250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდული პროგრამების/პროექტების თანადაფინანსება - ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება საქართველოში იძენს ახალ სახეს, ევროპის განვითარებული ქვეყნების ნაბიჯების აყოლის მიზნით, აღნიშნულ დარგში მნიშვნელოვანია თვითმმართველობის პროცესებში საზოგადოების ინტენსიური ჩართვა, რამე თუ, ახალგაზრდული საკითხები ეს არ არის მხოლოდ ახალგაზრდების საქმე ან მხოლოდ ახალგაზრდული განყოფილების. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ფოკუსირება ხდება ეგრეთწოდებულ „ოქროს სამკუთხედზე“, რაც გულისხმობს ახალგაზრდების მიერ დაგეგმილი და ორგანიზაციების მიერ (დაინტერესების შემთხვევაში) მხარდაჭერილი/წარმოდგენილი პროექტების		

	<p>ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური უზრუნველყოფით განხორციელებულ პროექტებს. აღნიშნული სისტემა ასევე ორიენტირებულია ახალგაზრდების ჩართულობის უმაღლესი საფეხურის დაკავებაზე (ახალგაზრდების ჩართულობის კიბე), რაც ახალგაზრდების როლს ზრდის ახალგაზრდული პროექტების დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამგვარად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები არის როგორც ხარისხობრივად ასევე ფინანსური კუთხით მოქნილი და ეფექტური.</p> <p>მიზანი - ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება, შემდგომში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების და ახალგაზრდების ჩართულობის ზრდის მიზნით.</p>
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები მხარდაჭერილი არიან, განხორციელდა მინიმუმ 14 პროექტი, რომელშიც ჩართული იყო მინიმუმ 1000 ახალგაზრდა. წახალისდა და ფინანსური მხარდაჭერა გაეწია მინიმუმ 5 ახალგაზრდას.

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	დაფინანსება ათ. ლარში
	05 03		200,0
პროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
